წლიწადი მეორე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

# თეთრი გიორგი

—რამდენიმე დღეში მანდა ვარ·და ჩემს სისხლსაც თქვენ სისხლში გავრევ.—

(ალექსანდრე ბატონიშვილის წერილიდან კახეთის 1813 წ. მეამბოხეებისადმი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი
მაისი 1927 წ.
N. 4
ფასი : 2 ფრ.

ორგანო საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა «თეთრი გიორგი»-ს

„St-GEORGES". Journal de la Jeunesse Patriote Georgienne

Prix : 2 Fr.
N° 4.
Mai 1927
PARIS

## Amis Géorgiens

Votre patrie est petite, mais elle a grand cœur !

On apprend à l'admirer, à l'aimer, lorsque l'on étudie son histoire glorieuse, trop ignorée de nous, occidentaux.

Jusqu'ici, la Géorgie, l'ancienne Colchide, était, pour la plupart d'entre nous, un pays plutôt fabuleux, situé quelque part du côté du Caucase, un pays aux femmes d'une surprenante beauté...

Mais voici que le monstre bolchevik s'abat sur vous : [illegible] les échos de votre résistance acharnée, de votre héroïsme sublime viennent jusqu'à nous. On sait que, peu à peu, vous êtes écrasés sous le nombre, mais que votre vaillance ne faiblit pas, que vous luttez quand même, que vous luttez jusqu'au bout.

Vous êtes terrassés, mais vous ne vous soumettez pas. Les sadiques de Moscou, ces pourvoyeurs de la mort, essaient tout inutilement : les tortures morales ou physiques, la vision de la mort, la certitude d'être massacrés, ne vous ébranlent pas, et c'est bientôt l'insurrection.

Ici encore vous combattez en vain, et, peu à peu, ce soulèvement est noyé dans le sang et dans l'horreur !

Mais, au dehors, on ne vous ignore plus, on sait, on écoute anxieusement. Vous souffrez, vous mourez, pour votre patrie pour votre religion. Oh, vous n'êtes plus des étrangers pour nous, vous êtes des frères chrétiens, et votre noble Géorgie est, comme au temps jadis, la citadelle avancée de la civilisation chrétienne.

Et si cette pensée peut quelque peu adoucir vos angoisses, vos souffrances, la douleur de vos deuils, dites-vous bien que là-bas, dans l'Europe occidentale, beaucoup de cœurs battent à l'unisson du vôtre, et non seulement compatissent à vos souffrances, mais les font connaître à d'autres.

Fils d'une nation traditionaliste à l'extrême, vous avez, intact dans vos veines, le sang courageux de vos ancêtres, et, malgré les invasions, les dévastations, les massacres, vous êtes restés tolérants et généreux, sans perdre ces deux caractéristiques de votre race : une bonne humeur inaltérable, un sens artistique très développé.

Dans toute une partie de la Géorgie, en Khevsoureti, on porte encore les cottes de mailles, les costumes



M. Raymond du Guet,
Auteur du livre *Moscou et la Géorgie martyre*, livre de grande valeur, qui obtient dans tous les milieux, un succès bien mérité.

des ancêtres qui furent aux croisades ; il y a là plus qu'une coutume, c'est un symbole, car en vos cœurs sont demeurés le sentiment chevaleresque de jadis, le même esprit de dévouement, d'oubli complet de soi-même.

Cela, les élèves de votre école militaire — cette pépinière de héros — l'ont écrit de leur sang sur les flancs du mont Kodjori, dans les tranchées de Tabakmeli, en février 1921, tandis que les hordes rouges se ruaient sur Tiflis !.

Traditionalistes, vous êtes demeurés, depuis le moyen âge, une nation de preux.

Vous forcez l'admiration, l'affection.

Raymond du Guet.

---

ჩვენი გაზეთის მესამე ნომრის მოწინავე წერილში ნათქვამია, რომ დღეს ნაციონალიზმი ემყარება და პოულობს უდიდეს საფუძველს ეკონომიურ სისტემაში. რაში მდგომარეობს იგი?

აქამდის საზოგადოების ეკონომიურ ვითარების შესახებ ორი უმთავრესი დებულება არსებობდა: მარქსისტული და ბურჟუაზიული.

მარქსისტების შეხედულებით საზოგადოების ცხოვრების და ევოლუციის მამოძრავებელი ძალა მატერიალიზმია. მატერიალურ ინტერესთა გარეშე არ არსებობს არავითარი სხვა ინტერესი. ამ ინტერესთა ნიადაგზე იქმნება კლასთა ბრძოლა. «კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა»-ო ამბობს მარქსი. საზოგადოების დასაბამიდანვე შექმნილი კლასთა ბრძოლა თავის უმაღლეს წერტილს აღწევს კაპიტალისტურ რეჟიმში. ამავე რეჟიმში უნდა მოხდეს მისი საბოლოო ლიკვიდაცია. განსაზღვრულ სოციალურ კანონების ძალით, რომელთ მარქსისტები ისტორიულ აუცილებლობას უწოდებენ, ეს ბრძოლა გადაწყდება პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებით: ყველა სოციალურ კლასთა მოსპობა, გარდა პროლეტარულისა და ინდივიდუალურ წარმოების ნაცვლად კოლექტიურის შექმნა.

აქ საკითხი ისმის: თავდება ამით კაცობრიობის ისტორია (ვინაიდან ის მხოლოდ კლასთა ბრძოლაში იხატებოდა) და იწყება ახალი მარქსისტული ისტორია? მაგრამ ეს გაკვრით და სხვათა შორის...

მარქსისტების იდეოლოგიიდან გამომდინარეობს მათი ტაქტიკა: კლასთა ბრძოლის გამწვავება პროპაგანდით და ტერორით; ბრძოლა არა პროლეტარულ კლასთა წინააღმდეგ სოციალურ რევოლუციის მოხდენა.

ერი, დემოკრატია, რესპუბლიკა ყოველივე ესენი არიან მხოლოდ ტაქტიკური საშუალებანი საბოლოო მიზნის მისაღწევად. ამნაირად მარქსისტების კონცეპცია არ სცნობს რომ ყოველივე ეკონომიური პრობლემა უნდა გადაწყდეს ეროვნულ ფარგლებში და ერის ინტერესების მიხედვით; რომ ყველა სოციალურ კლასების მატერიალური ინტერესები დამოკიდებული არის ერის ეკონომიურ ინტერესების და მდგომარეობიდან; რომ სწორედ ამ საერთო ეკონომიურ ინტერესების ნიადაგზე უნდა შეიქმნას ერსა და ეკონომიურ სისტემის შუა ჰარმონია; რომ დღევანდელი ცივილიზაციის გზა სწორედ ამ მიზნისკენ მიდის, რადგან მასშია მისი ხსნა. პირიქით მარქსისტები ეკონომიურ პროგლემის გარდაქმნას ერის გარეშე აყენებენ და მას ერის ინტერესებს უპირდაპირებენ.

ამნაირად მარქსისტების ეკონომიური კონცეპცია (სხვა კონცეპციები არც აქვთ) თავის ბუნებით და შინაარსით ანტიეროვნულია.
მესაკუთრე კლასი მარქსისტების პროლეტარულ თეორიას უპირდაპირებს ბურჟუაზიულს.

ამ უკანასკნელის შეხედულებით დედა მარღვი კაპიტალისტურ წარმოებისა და მისი სულჩამდგმელი არის ბურჟუაზია. მაშასადამე ყოველივე უპირატესობა უნდა ეკუთვნოდეს მას. პროლეტარიატი კი არის მხოლოდ მანქანა და კაპიტალისტურ წარმოებისათვის ერთ საჭირო საშუალებათაგანი. აუცილებელია სახელმწიფოს აპარატი ბურჟუაზიის ხელში იყოს, რათა მან შესძლოს «თავისი» ეკონომიური სისტემის დაცვა. აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიის მიერ დღევანდელ დემოკრატიზმისადმი და დემოკრატიულ რესპუბლიკისაკენ მისწრაფება, რადგან სახელმწიფოს ეს ფორმები არიან საუკეთესო დამცველნი ბურჟუაზიულ საზოგადოებისა და ბურჟუაზიის ბატონობის გამომხატველნი. დღემდის ბურჟუაზიულ კლასს ეროვნულ იდეების მატარებლად სცნობდენ, რასაც ეს უკანასკნელი თვითონაც ჩვეულობდა და ხმარობდა მას პოლიტიკურ ბრძოლის ტაქტიკათ. ბურჟუაზიის წარმომადგენელ პოლიტიკურ პარტიებს ნათლავდენ «ეროვნულ» ან «ნაციონალისტურ» პარტიებათ. ყოველივე ეს დიდათ შემცდარი შეხედულებაა და ცხოვრების სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ეს შეცდომა ხდებოდა იმიტომ რომ ნაციონალიზმს ჯერ საჭირო უმაღლეს განვითარებამდის არ მიუღწევია და თავისი ბუნებრივი გზა გაკაფული არ ჰქონდა. დღეს კი როგორც ბოლოში დავინახავთ, გარემოება იცვლება. იმ ფაქტმა, რომ ბურჟუაზიული ელემენტები ერის სახელით გამოდიოდენ და დღესაც გამოდიან ერის ერთი ნაწილის — პროლეტარიატის, ექსპლოატატორის და დამჩაგვრელების როლში, ბევრათ შეუწყო ხელი მუშათა კლასის ცნობილ ანტიეროვნულ განწყობილებას.

ახალი ნაციონალიზმი კლასთა ურთიერთობას სულ სხვა თვალსაზრისით უყურებს. მისი აზრით განსაზღვრული ეპოქა ხასიათდება განსაზღვრულ ეკონომიურ რეჟიმით. ამ უკანასკნელის ნიადაგზე იბადებიან მისთვის საჭირო სხვა და სხვა კლასები. ყოველი კლასის ბედი მჭიდროთ შეკავშირებულია ამ ეკონომიურ რეჟიმის მდგომარეობასთან: ჰყვავის ის, ყოველი კლასი, თუმცა სხვა და სხვა პროპორციით.

დაქვეითებულია იგი — კლასებიც განიცდიან გაჭირვებას. კლასთა მატერიალური დაცემა კი ნიშნავს ეროვნულ გაღატაკებას და დაცემას. ამნაირად ერის და კლასების ინტერესები შეკავშირებულია. მაშასადამე კლასები დაინტერესებულნი არიან მათ შემქმნელ და მასაზრდოებელ ეკონომიურ რეჟიმის აყვავებაში: ეს არის მათი უმაღლესი და საერთო ინტერესი. მაგრამ ამ დიდ ინტერესის გარეშე მათ შორის არის წვრიმალ ინტერესთა სხვა და სხვაობა, ხოლო რასაკვირველია ეს არ ნიშნავს მათ შორის ბრძოლას. სოციალისტები სარგებლობენ კლასთა შორის ინტერესთა განსხვავებით და ცდილობენ მათ ბრძოლათ გარდაქმნას. რასაკვირველია ისინი ამ მიზანს ვერ აღწევენ როდესაც ერი ნორმალურ პირობებში იმყოფება, მაგრამ მავნე მიკრობების მსგავსად სარგებლობენ ერის დასუსტების, კრიზისების, დაავადმყოფების მომენტებით და მაშინ აჩაღებენ კლასთა ბრძოლას. კლასთა ბრძოლა, როგორც ასეთი, არ არსებობს არც ეკონომიურ რეჟიმის ნიადაგზე, არც როგორც შინაარსი საზოგადოების პროგრესის (როგორც ამას ამტკიცებენ სოციალისტები), არამედ როგორც შედეგი განსაზღვრულ ცივილიზაციის ან ერის გახრწნის და დეკადანსისა, ამ ბოლო ათეულ წლებმა უკამათო მაგალითებით დაგვიმტკიცა ეს დებულება, როდესაც სოციალისტურ თეორიების პრაქტიკული განხორციელების ცდები სამარცხვინო კატასტროფებით დაგვირგვინდა; მაგრამ ამ კატასტროფებმა, მსოფლიო ომმა და მის შედეგებმა ხელი შეუწყო და დააჩქარა ნაციონალიზმის განვითარების პროცესი, რომელიც ისედაც მე-19-ტე საუკუნიდან ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და დღეს მიაღწია მას, რასაც ჩვენ უწოდებთ ახალ ნაციონალიზმს.

მან სალი ეროვნული თვალსაზრისით შეხედა როგორც ეკონომიურ, აგრეთვე ყველა პრობლემებს. ახალი ნაციონალიზმისთვის ერის გარეშე არც ერთ კლასს არა აქვს არავითარი ინტერესი. ეკონომიური საკითხები უნდა გადაწყდეს ეროვნულ ინტერესების მიხედვით. ერი არის მუდმივი და უკვდავი ორგანიზმი თავის ისტორიულ სულიერ, პოლიტიკურ და მატერიალურ ინტერესებით შემოსილი და მისი მუდმივი მიზანი განუწყვეტელი წარმატებაა. მისი შემადგენელი ელემენტები, ჯგუფები თუ კლასები, ცვალებადი და გარდამავალია და დროებით ინტერესების მატარებელნი. ერის ბედი რომელიც არის უმაღლესი მიზანი საზოგადოებისა და ერთად ერთი გარანტია მისი კულტურული არსებობისა მოითხოვს მის შემადგენელ კლასთა ჰარმონიულ თანამშრომლობას.

ამნაირად ჰქმნის რა ახალი ნაციონალიზმი სხვა და სხვა კლასთა მატერიალურ ინტერესთა შეთანხმებას, იგი პოულობს უდიდეს საფუძველს ეკონომიურ სისტემაში. ამითი ახალი ნაციონალიზმი ხჭრის თანამედროვე ცხოვრების უდიდეს პრობლემას.

დღევანდელმა მსოფლიო კრიზისმა და რევოლუციებმა აშკარად დაგვანახა, რომ ან უნდა გაგრძელდეს სოციალისტების მიერ გამწვავებული კლასთა ბრძოლა და მაშასადამე დაინგრეს თანამედროვე ცივილიზაცია, ან უნდა საზოგადოებამ იპოვოს სხვა გზა. ამ გზას ახალი ნაციონალიზმი უჩვენებს: კლასთა სოლიდარობა; მათი ჰარმონიული თანამშრომლობა პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობის ნიადაგზე; კლასთა გარეშე მდგომ ეროვნულ საზელმწიფოების შექმნა.

* * *

### ქართული ჯარის ორგანიზაცია

(წერილი მეორე)

### ცხენოსანი ჯარი

ცხენოსანი ჯარის ხასიათი, მისი როლი, უწინდელი, თუნდაც ნაპოლეონის დროს, ან 1866 და 1870-1 წლების ომების დღეს აღარ არის. ახალი სისტემის იარაღმა, თანამედროვე ტექნიკამ მის მოქმედების მეთოდებში შესამჩნევი ცვლილებები შეიტანა. ქართული ჯარის შექმნის დროს ეს მოვლენა არ უნდა დაგვავიწყდეს.

მიუხედავათ ამ ცვლილებათა, მოძრაობის ომში ცხენოსანი ჯარი თავის უმთავრეს როლს დაზვერას, სიჩქარეს და მანოვრს ყოველთვის შეინარჩუნებს.

ქვეითა ჯარი უმნიშვნელესი ნაწილია. იგი ბატონია ძალის. ეს იმიტომ, რომ ის წარმოადგენს რიცხვს და ძალას ცეცხლს და მოძრაობას. ქვეითა ჯარის უპირატესობა მეტადრე მაშინ აშკარავდება, როცა მას მხარში უდგია საკმარისი კავალერია დასაზვერავად და საკმარისად მძლავრი არტილერია, რომელიც მას იცავს როდესაც ის არ ისვრის.

არტილერია კი არის ბატონი ცეცხლისა. მხოლოდ მას შეუძლია შორ მანძილზე მყოფ და უხილავ მტრის წინააღმდეგ მოქმედება; მტრის საფართა დანგრევა; უხილავ მტრის შეწუხება და მის მოძრაობის ხელის შეშლა; მტრის რეზერვების დემორალიზაცია და განადგურება; ერთი სიტყვით მოქმედება იქ, სადაც თოფი არ უწევს. არტილერიის მფარველობა აუცილებელია ქვეითა ჯარის მოძრაობისათვის.

მაგრამ თუ ქვეითა ჯარი არის ბატონი ძალისა და არტილერია ბატონი ცეცხლისა — ცხენოსანი ჯარი არის ბატონი მოძრაობის. მოძრაობის ომში ცხენოსანი ჯარი ყოველთვის იყო და დარჩება დაზვერვის და მანოვრის უმთავრეს ძალათ.

დღეს ჰაეროპლანებიც დიდ დამზვერავ როლს თამაშობენ. აშკარაა მის და კავალერიის მოქმედების კოორდინაცია აუცილებელია.

გარდა ამისა ვინაიდან სიჩქარე კავალერიის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში გასაჭირ ალაგს საჩქაროდ დაეხმაროს, დანაკლისი დროზე შეავსოს და მეტადრე რაც დიდ მნიშვნელოვანია ბრძოლის ხაზი გააგრძელოს.

ლეო კერესელიძე.

* * *

მარქსის ყველა დებულებები სინამდვილემ სამარცხვინოდ გაამტყუნა. სოც.-დემ. ექსპერიმენტები მარქსის თეორიების ცხოვრებაში გატარებისა სასაცილო და სავალალო იქნებოდენ რომ ბევრ ხალხს და მათ შორის ქართველებსაც სისხლათ და თავისუფლებათ არ დასჯდომოდათ.

აი ერთ მაგალითთაგანი მათი თეორიების სიყალბისა. მარქსის «მეცნიერების» აზრით აუცილებლად უნდა მოხდეს საზოგადოების მასიური გაპროლეტარება და კაპიტალის კონცენტრაცია მცირე რიცხვის ხელში. მარქსის აზრით ეს ისტორიულად აუცილებელი» პროცესი იმ ქვეყნებში უფრო ადრე განხორციელდება, სადაც კაპიტალიზმი უფრო განვითარებულია. შეერთებულ შტატებსავით ინდუსტრიალური და კაპიტალისტური ქვეყანა მსოფლიოში არ მოიპოვება და აი სწორედ იქ ვხედავთ მარქსის დებულების სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას. იქ არამც თუ საზოგადოება არ პროლეტარდება, არამედ თვით მუშები კაპიტალისტდებიან და შესამჩნევი ის არის რომ ამასთანავე ისინი მუშებათაც რჩებიან. აი ოფიციალური სტატისტიკა შეერთებულ შტატების საკომერციო დეპარტამენტისა. შეერთებულ შტატების ოცდა ორ უდიდეს წარმოებაში 315.497 მუშას აქვს 454.963,282 დოლარის აქციები იმ საზოგადოებისა, სადაც ისინი მუშაობენ. ფოლადის უდიდეს კოოპერაციას ჰყავს 159.000 აქციონერი და ამ რიცხვში 50.020 თავისი საკუთარი მუშაა.

**American Telephone and Telegraph Cie** ის 57.000 მუშა მისივე აქციონერები არიან. **Bethlehem Steel Cie** -ის 35.000 აქციონერი მუშა ჰყავს და სხვა და სხვა.

**Standard Oil** -ის საზოხადოებაში ამ მხრივ უფრო თვალსაჩინო მდგომარეობაა. ამ დაწესებულების სამ საზოგადოებაში 74.000 მუშის აქციები 90.000.000 დოლარის ღირებულებას უდრის ე: ი. დაახლოებით ორ მილიარდ ნახევარ ფრანგულ ფრანკს. ამნაირად კაპიტალის კონცენტრაცია მცირე რიცხვის ხელში არა ხდება. პირიქით, თუ შეერთებულ შტატებში 1913 წელს მხოლოდ 4.000.000 მესაკუთრე (ფასიან ქაღალდებისა) იყო, დღეს ოცი მილიონია. ამნაირად ცამეტი წლის განმავლობაში მოძრავ ქონების მესაკუთრეთა რიცხვი ოთხ ნახევარჯერ გაიზარდა.

მაგრამ მარქსის თეორიებს მხოლოდ ამ მხრივ არ მოუვიდა მარცხი- ცხოვრების სინამდვილემ დაანგრია მთელი მისი ეკონომიური სისტემა. საზოგადოების განვითარების პროცესი მარქსისგან ნაჩვენებ «ისტორიულად აუცილებელ» გზას კი არ დაადგა, არამედ სულ სხვას. ჩვენ მეთოდიურად და თანდათანობით გავაცნოთ მკითხველს «თეთრი გიორგი»-ს ფურცლებზე რა ახალი ეკონომიური საფუძველი ედება თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურას და რაზედ დამყარდება კულტუროსან ხალხთა ახლო მომავალი.

შეადარეთ მარქსისტებისაგან რუსეთში შექმნილი ეკონომიური სურათი შეერთებულ შტატებში კაპიტალისტურ რეჟიმის მიღწევებს. ამასთან გაიხსენეთ რომ პირველი არის შედეგი მარქსის მიერ ქებულ კლასთა ბრძოლისა და მეორე აგებული კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობაზე. ჩვენ შემდეგ ნომრებში გავაცნობთ მკითხველს თუ რანაირად ევროპის ეკონომიკა აუცილებლად გადავა შეერთებულ შტატების ეკონომიურ მეთოდებზე და პრაქტიკაზე.

ზემო აღნიშნულ სტატისტიკიდან ადვილია მისი ახსნა თუ რატომ შეერთებულ შტატების ას ოც მილიონი მცხოვრებთ მხოლოდ ორი სოციალისტი ჰყავთ პარლამენტში წარმომადგენლად. მერე ისიც ვინ აძლევს ხმას ამ ორ საცოდავ დეპუტატს? მხოლოდ საზოგადოების ნამირალები ან რუსეთ-ჩინეთ-აფრიკიდან ახლად შემოხიზნული ემიგრანტები, რომელნიც ცხოვრებას კიდევ თავიანთ პრიმიტიულ ქვეყნების საზომით ზომავენ.

ეკონომისტი

* * *

### სიყვარული ჩრდილოეთში

(ა. პ—ეს)

შენ გიყვარს ცაცხვი, მე დიდი მუხა.
შენ მკრთალი ნისლი, მე დღე ნათელი.
შენ გიყვარს ზეცამ თუ დაიქუხა
და სველი ბაღი წვიმით ნათელი.

მე მზეს უცქერი, შენ ჩამქრალ მთვარეს.
მე მიყვარს სიცხე, თხელი მანდილი;
შენ კი მთელი ტყე შემოიარე,
ჩრდილს დაეძებდი ხის ქვეშ ამ დილით.

იყო საღამო, დღის ლურჯი სახე...
ქუჩებში ყვითელ ფოთლების დარდი...
და ეხლა ვნანობ, რად დაგინახე,
თუ მზით არ სცოცხლობ რად შემიყვარდი?

გადაფფინა ყინული არხებს...
დროც გაიყინა... ეთერს არ ვეღი;
ვგრძნობ მაღალ კოშკში გული დავმარხე;
სად ჩრდილოეთი და სად ქართველი?!

მაგრამ ამბობენ გამოიდარებს,
ადნება თოვლი, იხვე ათბება;
ხოველი მიწაც გადაიფარებს
გაყინულ მკერდზე ბალახებს თმებათ.

გამოაღვიძებს ზვირთები არხებს,
ზეცა მერცხლების ნავარდს იგემებს;
ოკეანეზე ქარი შეარხევს
მზის ქვეყნებიდან მომავალ გემებს.

და დაბრუნების მაღალ საყვირზე
ავალ ბაქანზე. ბევრნი ვიქნებით...
დარჩები ჩემთვის უცხო ნაპირზე
თეთრ ხელთათმანის ჰაერში ქნევით.

და როცა ერთ დღეს შევალ ოდაში
გამიკვირდება და ვიტყვი: ღმერთო!
ვერ ვიცხოვრებდით ერთად მე და შენ,
რადგან არ გვქონდა ბინა საერთო.

და ბებერ მუხას, მარტო რო დარჩა,
მე წაუკითხავ მხიარულ ლექსებს...
და ჩემი ეზო და ჩემი ბაღჩა,
ვიცი, ჯინჭარით მომიალერსებს.

სხვისი ხელებით ნერგი დარგული
ვერ ნახავს ცრემლი თუ გადმოვღვარე...
ყველას მივიღებ გაშლილი გულით:
ახლებს, ძველებსაც, მტერს და მოყვარეს.

გადამალის მთვარე მთებზე არშიას
და ვერცხლის შუქზე მომაგონდები,
რადგან ვიგონებ ზამთარში იას,
მიყვარს ზაფხულში თოვლის გუნდები.

ვიტყვი: ვყოფილვარ უვიცი მგზავრი,
ძვირფასი თვლები ჩავთვალე ქვებათ...
და შენზე ფიქრი, დარდი და ჯავრი
შავი ზღვის ტალღებს მძიმედ გაჰყვება.

სიმონიკო ბერეჟიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

✝

## კათალიკოსი ამბროსი*)

საქართველოს კათალიკოსი გარდაიცვალა. უფრო სწორე იქნება ვსთქვათ რომ ის აწამეს და მოჰკლეს ჩრდილოეთის ბარბაროსებმა. ვინ იყო კათალიკოსი ამბროსი? ამბროსი იყო საქართველოს სულიერი მამა ამ შემეცნების მთელ თავის ისტორიულ-ეროვნულ მნიშვნელობით და შინაარსით. და როდესაც მე ვფიქრობ ამ მაღალ პიროვნებაზე, მის ღვაწლზე და სიგმირეზე, როდესაც ჩავწვდები ხოლმე მთელს სიდიადეს სიტყვებისა, რომლითაც მიმართა მან თავის ჯალათ-მოსამართლეებს: «ვერ შემაშინებთ! ჩემი სული ეკუთვნის უფალს, გული სამშობლოს და სხეული რაც გსურდეთ ის უყავით»-ო, მე გადავდივარ სსქართველოს წარსულში და საზეიოოვანი აჩრდილნი ჩვენ მღვდელ-მონოზანთა იმართებიან ჩემს წინ მთელი თავისი მამულიშვილური სიდიადით...

ბნელი, ატეხილი ტყე; გაუვალი ხეობა... თევდორე მღვდელი გარშემორტყმული ხმალ-აწვდენილი ჯალათებით... ამ გაუვალ ხეობაში შემოიტყუა მან მტრის ჯარი და საკუთარ სიცოცხლის ფასად იხსნა სამშობლო და თავისი მეფე.

ხმლის წვერები ერჭობიან სხეულში და იარეგიდან სისხლი გადმოჩქეფს. მაგრამ თავგანწირული თევდორე პირზე ღიმილით, შესრულებულ მოვალეობის ბედნიერებით ანთებულ თვალებს აპყრობს ზეცას და ამბობს თავის უკანასკნელ ლოცვას...

ზეითუნის ხეებით მოფენილ სერზე, პალესტინის საფირონის ცის ქვეშ, გარშემორტყმული მაღალ კოშკებით ამართულია საუცხოვო მონასტერი. საუკუნეთა განმავლობაში ამაყად გადაცქერის ის მოაბის მთებს, მდინარე იორდანეს და გალილეეს უდაბნოს. ეს მონასტერი აგებულია შორეულ საუკუნეებში ქართველ წმ. მამათა ხელით. მათ უღირდათ ეს მონასტერი დაუღალავ შრომის, ტანჯვის და სიცოცხლის ფასად. ამ უმაგალითო ხულისკვეთებით ჩვენმა წმ. მამებმა მრავალი ქვეყნები მოჰფინეს ქართული მონასტრებით: დაწყებული მზეურვალე სინაის, უდაბნო მოაბის და მომხიბლავი ლიბანის მთებიდან ვიდრე პოეტურ ჰელადამდის და მოლდავია—ვალახიის ხრიოკ ვაკეებამდის. როდესაც ჩვენ ქვეყანას შემოესეოდა მტერი და ამლევდა მას ცეცხლსა და მახვილს ქართული აზროვნება პოულობდა თავის ნავთ-სადგურს და თავშესაფარს ამ შორეულ მონასტერთა მყუდროებაში. ამ მონასტრებში საუკუნეთა განმავლობაში ათასობით ღვდლებს და ბერებს უშრომნიათ შეუდრეკელი ენერგიით, და შეუნახიათ ქართული კულტურა და სამშობლოს იდეა...

— 17 — ტე საუკუნეა. ლიტოსიის ღამე. სამი ათასი ბერი ანთებული სანთლებით ხელში ბოდბისის მონასტერში ეკლესიას «ქრისტე აღსდგა»-ს გალობით გარს უვლიან.

მათ მოულოდნელად თავს ესხმით მტრის ჯარი, რომელიც ბრძანებას აძლევს ლოცვა შესწყვიტონ და ჯვარი გადაგდონ. ბერები პასუხსაც არ აძლევენ. როგორ თუ გადააგდონ ჯვარი? ეს ხომ სარწმუნოების შელანძღვასთან ერთად სამშობლოს ღალატიც არის. განა წმ. ნინოს და არმაზის მთის სასწაულის შემდეგ ქართველი ხალხი ამ ჯვარის საზელით არ იცავს სამშობლოს თავისუფლებას? ბერები შეუპოვრად განაგრძნობენ ლიტანიას თუმცა გამძაგებული მტერი მათი გვამების გროვას აყენებს.

და არც შეწყვეტილა გმირ-ბერების ლოცვა სანამ უკანასკნელი ბერი არ დაეცა ძირს გალობით: «ქრისტე აღსდგა»..,

1624 წელი... მკათათვის სულშემხუთავი ღამეა... მარაბდის ველზე თხუთმეტი ათასს ქართველ მხედარს გარს შემორტყმია სპარსელთა ურიცხვი ჯარი. გათენებისას გაჩაღდება სასტიკი ბრძოლა. ქართველთა სარდალნი: თეიმურაზ მეფე, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, ცხრა ძმა ხერხეულიძენი, ზურაბ არაგვის ერისთავი, მოწინავე ჯარის თავი ბარათა ბარათაშვილი, გაადურ ციციშვილი, მანუჩარ ათაბეგი და მთელი ქართველი ლაშქარი შეფიცულია ცოცხალი თავით მტერს არ დანებდეს. ვინაიდან ყველა სიკვდილის მოლოდინშია საქართველოს კათალიკოსი მღვდელ-მთავართა თანხლებით გადადის რაზმიდან რაზმში და ყველას წმინდა ზიარებას აღებინებს. სულიერმა მამამ ამ მკათათვის ღამეს მოიხადა თავისი სულიერი ვალი და ხვალ დილისთვის მზად არის მამულიშვილური ვალიც მოიხადოს. და როცა ცისკარზე მზის პირველი სხივი დაენთო ტაბახმელას ქედზე კათალიკოსი იხდის თავის სამოსელს და იცვამს რკინის პერანგს. ჩვენი რაზმები დაჭრილი ლომივით ეკვეთებიან სპარსელთ და მათ თავში გიორგი სააკაძის გვერდით, საქართველოს კათალიკოსი ხმალ ამოწვდილი პირველი გადაეშვება მტრის გუნდებს...

1820 წელი. იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა იარაღში ზის. ხალხმა ვეღარ აიტანა რუსებისაგან მიყენებული ტანჯვა და დამცირება და შემოქმედის ციხიდან ლიხის ქედამდე მთელი დასავლეთი საქართველო ბრძოლის ცეცხლშია გახვეული. აქაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ამხედრებულ ხალხს სარდლებთან ერთად მეთაურობს სამღვდელოება. სასტიკი, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ საქართველოს ეს ნაწილიც მარცხდება ისე როგორც 1812 და 1813 წლებში ქართლ-კახეთი. მოსკოვის მხეცები ახოცით სწვავდენ დაბა-სოფლებს, ანგრევენ ციხე-კოშკებს. მეამბოხეთა წინამძღოლნი იხოცებიან უსწორო ბრძოლაში ან კვდებიან ჯალათების ხელით. მიტროპოლიტი ძოსიმე ქუთათელი მეტის-მეტი ტანჯვით ჭკუაზე შეშალეს და მერე ციმბირის გზაზე მოჰკლეს. მიტროპოლიტი ექვთიმე შორეულ ციმბირს გადაასახლეს. მაგრამ ვერც ერთს უარი ვერ ათქმევინეს სამშობლოზე და იდეალზე.

 აი ვინ იყო ამბროსი! სისხლი და ხორცი ამ შეუდარებელ გმირთა; გაგრძელება მრავალ საუკუნეთა მოღვაწეობის, თავგანწირულების და მედგრული სულის სიმტკიცის. ან შეიძლება არ ყოფილიყო სულ მაღალი ის ვინც დაგვირგვინდა ცხეთის ტაძარში?.. იმ ტაძარში, რომელიც თხუთმეტი საუკუნის სიმაღლიდან დაჰყურებს მრავალ ტანჯულს მაგრამ შეუპოვარ საქართველოს, რომლის კედელთა შუა ყველგან და ყველასაგან დევნილ ქართულ სულს და წინაპართა აჩრდილთ უპოვნიათ უკანასკნელი თავშესაფარი!

განა შეიძლება ღირსეულოვანი არ ყოფილიყო ის ვინც ატარებდა საუკუნეთა მიერ გამოჭედილ გვირგვინს, რომლის ყველა ალმასი არის ნიშანი რომელიმე წინაპრის მიერ სამშობლოსათვის თავდადებისა.

დიახ, საქართველოს კათალიკოსი დღეს არის წარსულის ერთად ერთი წარმომადგენელი და სიმბოლო. იმ წარსულის, რომლის შინაარსის დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნუსხვის საერთო ჯამი მაინც არის უმაგალითო საზეიოოვანი.

საქართველოს სულიერმა მამამ და მეფემ ამბროსიმ ღირსეულად შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება და წინაპართა აღთქმა.

საუკუნეთ იყოს ხსენება შენი წმინდაო წამებულო! ერთ დღეს თავისუფალი ქართველი ერი, თავისუფალ საქართველოში მუხლ მოდრეკილი თაყვანსა სცემს შენს წმინდა საფლავს.



---

## ფაშიზმის პრაქტიკული მიღწევანი იტალიაში.

ფაშიზმის დიდმა შემოქმედებით ძალამ იტალიის ერი აღორძინების გზაზე დააყენა. მან შეიტანა რადიკალური ცვლილებანი ცხოვრების ყველა დარგში. აი რას მოგვითხრობს ისპანელი პუბლიცისტი კამბო, რომელიც მიუხედავად იმისა რომ არ იზიარებს ფაშისტურ იდეოლოგიას, მაინც იძულებულია სინამდვილეს და ფაქტებს ანგარიში გაუწიოს «იმ დაცემის სურათის შემდეგ, რაც მე იტალიაში ვნახე, ამბობს ის, მე განცვიფრებაში მომიყვანა აღორძინების დაუსრულებელ სურათმა. ყველგან დისციპლინა, ზრდილობა იერარქიისადმი პატივისცემა, სისუფთავე, წესრიგი. ბურჟუაზია დიდ გადასახადს იხდის, მაგრამ მაინც კმაყოფილია; მან იცის რომ მის მიერ გაღებული ფული დემაგოგიურ ხარჯებში არ გაიფლანგება, არამედ სახელმწიფოს მოხმარდება. მუშთა კლასი მასიურად ფაშისტურ მოძრაობას შეუერთდა, ფაშიზმმა განავითარა ეროვნული ინდუსტრია, მუშები უზრუნველჰყო სამუშაოთი, მოსპო უმუშევრობა და განამტკიცა რწმენა, რომ მუშა ულუკმა პუროდ არ დარჩება და სამუშაო ყოველთვის ექნება. ქარხნებმა ყველგან განაახლეს მუშაობა, მიწები დაითესა, რადგან მესაკუთრე დარწმუნდა, რომ ნაყოფს არავინ არ წაართმევს. გუშინდელ დამცირებულ იტალიას დღეს დიდი პატივი აქვს და ყველანი ანგარიშს უწევენ».

სხვა პრობლემებთან ერთად ფაშიზმმა გადასჭრა ერთი უდიდესი საკითხი, რომელიც დღემდის ეროვნულ დაქვეითებას ხელს უწყობს და საზოგადოება დაკნინებამდე მიჰყავს: მან მოაწესრიგა დამოკიდებულება მუშათა კლასს და ბურჟუაზიას შორის; ბურჟუაზიას ჩამოართვა პირველობა სახელმწიფოში, ბრძანებლის ადგილი, განამტკიცა რწმენა რომ ბურჟუაზია და აგრეთვე ყოველი კლასი უნდა არსებობდეს სახელმწიფოსათვის და არა პირიქით,—სახელმწიფო რომელიმე კლასისთვის; მუშათა კლასი გააერთიანა ფაშისტურ სინდიკატებში, რომელსაც საფუძვლად დაედო ეკონომიური მშვიდობიანობა და რომელმაც მიზნად დაისახა ბრძოლა სოციალისტების მონოპოლიის წინააღმდეგ და სინდიკალისტურ მოძრაობის დამორჩილება პოლიტიკურ მოძრაობისადმი. ფაშისტური სინდიკალიზმი არ უარჰყოფს კლასთა შორის კონფლიქტს, მხოლოდ მას ხწამს მისი მშვიდობიანი მოგვარება მუშებსა და პატრონთ შორის შეთანხმებით. ამით აიხსნება ის რომ გაფიცვები, რაც სახელმწიფოს ეკონომიურად ანგრევს, ძალზე შემცირდა. 1920 წ. 2.070 გაფიცვა იყო 1924 წელში კი მხოლოდ 260. უმუშევრობამაც დიდად იკლო. თუ 1921 წელში 541,770 უმუშევარი იყო, 1925 წელში—85.000 მდე ჩამოვიდა. 1924 წელში ფაშისტური სინდიკატები აერთიანებდა 1.500.000 მუშას, დღეს 2,000,000 აღემატება, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ფაშიზმმა გადასწყვიტა დადებითად მუშათა საკითხი, რაც ვერ შესძლო ვერც ლიბერალურმა, ვერც კომუნისტურ-სოციალისტურ მოძრაობამ,

ფაშისტების გამარჯვებამდე იტალია ეკონომიურად დაქვეითებული იყო. თუ სახელმწიფოს 1920 წელში განკის 11 მილიარდი 864 მილიონი ვალი ჰქონდა, 1923 წელში ის 2 მილიარდს არ აღემატებოდა. ფაშისტურმა მთავრობამ ქვეყნის მთელი ეკონომია დაუთმო ინდუსტრიას, რამაც სახელმწიფოს შემოსავალი საგრძნობლად გაადიდა; მუსოლინიმ შესძლო ხეხ აუღებლად დაეხარჯა 2 მილიარდი სარდინიაში და სიცილიაში არხების, გზის გასაყვანად და სხვა საზოგადო სამუშაოებისათვის.

1921 წელს რკინის გზის ტრანსპორტი [illegible] 34 მილიონ ტონას, 1924 წ. —48 მილიონს. ნავთ სადგურებშიც იგივე სურათს ვხედავთ. 1921 წელს იტალიის [illegible] უდრიდა 8 მილიარდ 278 მილიონს, 1924 წელს კი ის თითქმის გაორკეცდა, რაც ფაშიზმის დიდ შემოქმედებით ძალას ადასტურებს.

(გაგრძელება იქნება)

გ. სალია.

---

## ბრიტანეთის ყოფილი უმაღლესი კომისრის ამიერ-კავკასიაში, პოლკოვნიკ სტოკსის წინასიტყვაობა

ფრანგი მწერლის ბ. რაიმონდ დიუგეს შრომისათვის «მოსკოვი და წამებული საქართველო».

«მოსკოვი და წამებული საქართველო»-ს ავტორმა კეთილ ინება მოემართა ჩემთვის, რათა დამეწერა წინასიტყვაობა ამ მეტად საინტერესო და სამაგალითო შრომისათვის. მე დავთანხმდი ორი მოსაზრებით. პირველყოვლისა, რადგან მე მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი საქართველოში, თითქმის, ყველა იმ უმთავრეს მოძრაობა-მოვლენებს, რომელსაც მოგვითხრობს ეს წიგნი; შემდეგ, რადგან მე დღესაც არ შემიწყვიტავს ჩემი ღრმა ინტერესი ამ უბედურ ქვეყნის გამოცდილებისადმი.

საქართველომ მოიპოვა თავის დამოუკიდებლობა 1917 წ. რუსეთის რევოლიუციის წყალობით. მან ისარგებლა ამ მოძრაობით, აღადგინა ქვეყნის თავისუფლება და მასთან ერთად ეროვნული გრძნობა და გმირობა, — თვისებები, რომელიც, უნდა ითქვას, მას არასოდეს არ აკლდა.

მაგრამ, დასტოვა რა რუსეთის ჯარმა საქართველო, მას გაუჩნდა მეორე საშიშროება ოსმალეთის სახით. საქართველომ მიმართა მოწოდებით მოკავშირეთა სახელმწიფოებს, რამაც უნაყოფოდ ჩაიარა. შემდეგ მან სთხოვა და კიდეც მიიღო დახმარება გერმანეთის, რისთვისაც საქართველო არ არის სრულიად გაკიცხვის ღირსი, რადგან მართლაც გერმანეთმა ის გადაარჩინა ოსმალეთის ოკუპაციას.

ზავის შემდეგ, რომელმაც დაასრულა მსოფლიო ომი, გერმანეთის და ოსმალეთის ჯარის ნაწილებმა დასტოვეს ამიერ-კავკასია და ა. კ. სამ რესპუბლიკას — საქართველოს სომხეთს და აზერბეიჯანს მიეცათ საშვალება თავისუფლად ამოესუნთქათ, გამოეძებნათ და მიეღოთ საუკეთესო ზომა თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცავად.

საუბედუროდ ამათ უარყვეს სინამდვილეში ერთად ერთი რეალური და საიმედო საშვალება თავისუფალი ცხოვრების, ე. ი. ამ სამი ქვეყნის კონფედერაციის შექმნის. ამ სახის კონფედერაცია, რომელსაც უეჭველად შეუერთებოდა მთიელები სამხრეთ კავკასიის, შეჰქმნიდა ერთ ძლიერ კავშირს და სწორედ ძალთა ასეთი გაერთიანება შესძლებდა საჭიროების დროს გაეკლავებოდა დიდი ხნის განმავლობაში და გაემარჯვა თავის მეზობლებზე სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ასეთი კონფედერაციის უპირატესობა და სარგებლობა იმდენად ცხადია, რომ ძნელია გაგება, თუ რისთვის არ იყო ასეთი ორგანიზაცია შექმნილი; მაგრამ აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთი შედეგი რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციის იყო უნდობლობის შექმნა კავკასიის სხვა და სხვა ერთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბეიჯანის თათრები იყურებოდნენ თავის ერთმორწმუნე ოსმალეთისაკენ. სომხეთი რამოდენიმედ თანაგრძნობას იჩენდა რუსეთისადმი, რადგან რუსეთის ძალაზე დამყარება მას აძლევდა საშვალებას ამიერ-კავკასიის ვაჭრობის ბატონ პატრონობა შეენარჩუნებია და ამასთან ერთად რუსეთი მას იცავდა ოსმალეთის თავდასხმისაგან.

საბოლოოდ, როგორც ვიცით, ასეთი კონფედერაცია არ შესდგა და ყოველი სახელმწიფო ცალ-ცალკე შეეცადა მიეღო დახმარება მოკავშირეების ან ოსმალებისაგან.

მაგრამ მოკავშირე სახელმწიფონი ამ დროს თავიანთი უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იყვნენ გართულნი. მეორე მხრივ მათ ჰქონდათ ყალბი წარმოდგენა, თითქოს სომხეთს ეკუთვნოდა ქრისტიანობის მონოპოლია ქვეყნის ამ ნაწილში, ამიტომაც ის სარგებლობდა დიდი სიმპატიით. ამავე დროს საქართველოში მათ არ ჰქონდათ მცირედი თანაგრძნობაც.

საჭიროა აქვე ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველო არის აგრეთვე ქრისტიანული ქვეყანა, რომ მის მიწა წყალზე სცხოვრობს მნიშვნელოვანი ნაწილი მუსულმანების და სომხეთის საწინააღმდეგოდ საქართველოს აქვს ჩვეულება იცხოვროს მშვიდობიანად მუსულმანებთან.

მამასადამე, საქართველო ისე როგორც სომხეთი და აზერბეიჯანი იძულებული იყო ეწარმოებია ცალკე, ყოველი დახმარების გარეშე, ბრძოლა. დაბრკოლებანი, რომელიც ელოდებოდა საქართველოს მთავრობას წინ იყო დიდი და ცხადია ის არ შეიძლებოდა შენელებულიყო იმ მდგომარეობის გამო, რომ ეს მთავრობა იყო მენშევიკური ანუ მემარცხენე სოციალისტების. შინაგანმა პოლიტიკამ ამ უკანასკნელის— მიწების და ზოგი კარგ შემოსავლიან ინდუსტრიის ნაციონალიზაციამ არ დააკმაყოფილა არავინ, სავსებით გაანადგურა ქვეყნის მრეწველობა და ამავე დროს უკიდურესად გაალვივა პარტიული გრძნობები.

სინამდვილეში საქართველოს მთავრობამ დააყენა პარტიული ინტერესი ეროვნული ინტერესების წინ (ხაზი ჩვენია. რედაქცია). ამ შემთხვევაში აღვნიშნავ ერთ ტიპიურ მაგალითს: რამოდენიმეჯერ მთავარ-სარდლის თანამდებობას ღენერალ კვინიტაძის კანდიდატურის ჩამოშორების, რომელიც, მიუხედავად ამისა მდგომარეობის გართულების დროს ყოველთვის ინიშნებოდა სამხედრო ძალების სათავეში.

თავის დამოკიდებულებაში მოსკოვთან საქართველოს მთავრობა იმყოფებოდა ნამდვილი გავშური წარმოდგენის გავლენის ქვეშ, რომ ბოლშევიკებს აქვთ განსაკუთრებული პატივისცემა მენშევიკებისადმი, მათი სოციალისტური მოძმეთადმი.

ავტორი სრულიად გარკვეულად გვიჩვენებს, თუ რა ღირებულება აქვს ამგვარ სოლიდარობას სოციალისტებს შორის.

თავის დამოკიდებულებაში მოკავშირე სახელმწიფოებთან საქართველოს მთავრობა კმაყოფილდებოდა ფაქტით რომ მისი ერთი წევრი იმყოფებოდა ერთ-ერთ ამ სახელმწიფოში, სადაც მას ჰქონდა საშვალება შეესწავლა ამ ხალხის აზროვნება და ცხოვრება.

აქ შეიძლება მიუთითოთ მთავრობის სიბეცის ერთ-ერთ მაგალითზე, სახალხო გვარდიის მიერ წითელი დროშის ტარება; უცხოელები, ოფიციალი და არა ოფიციალი პირები, რომლებიც მიდიოდნენ საქართველოში, ხედავდნენ რა ამ წითელ დროშას, აღწერდნენ ამ ქვეყანას როგორც ბოლშევიკურს (ხაზი ჩვენია. რედაქცია). მიუხედავად საქართველოს ბევრი ნამდვილი მეგობრების რჩევისა საქართველოს მთავრობა დაჟინებით უარყოფდა სახალხო გვარდიის წითელი დროშის შეცვლას.

ავტორმა ამ წიგნის დაწერით მოუტანა დიდი სარგებლობა საქართველოს. აგრეთვე ბოლშევიკების მოქმედების და დამოკიდებულების ამ ქვეყანასთან დაწვრილებით აღწერით შემოსევის წინ და მის შემდეგ, მე ვფიქრობ, მოუტანა კიდევ მეტი სარგებლობა მსოფლიოს საერთოდ,

არ შეიძლება ამ წიგნის წამკითხველმა არ განსჭვრიტოს რომ ბოლშევიზმი არის აბსოლიუტური უარყოფა ყოველგვარი სამართლიანობის იდეის, პატიოსნების, წმ.იერი მმართველობის და ადამიანობისაც კი.

ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკების სიმხეცემ გამოიწვია საქართველოს აჯანყება 1924 წ. ადვილი შესაძლებელია, რომ ხალხმა ვერ აიტანა ბოლშევიკების წამება და აჯანყდა; მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ ნიშანი აჯანყების იყო მიცემული საზღვარგარეთიდან, ამ შემთხვევაში ის ვინც ეს ჩაიდინა უეჭველად არის სასტიკი პასუხისმგებელი, რადგან თუ გარედან დახმარებას არ მოელოდენ, შეუძლებელი იყო იმედი ჰქონოდათ ადგილობრივი აჯანყებით მოესპოთ ბოლშევიკური მონობა საქართველოში.

ავტორი ძლიერი სიმპატიით ლაპარაკობს საქართველოზე დ მე სავსებით ვიზიარებ მის შეხედულებას.

ხალხი, რომელსაც აქვს ასეთი მაღლად განვითარებული ეროვნული გრძნობა, ნათელი აზროვნების და საღი ჯანმრთელობის მქონე გლეხობის შემადგენლობით. ქვეყანა, დაჯილდოებული განსაკუთრებული ბუნებრივი სალამაზით, რომლის ნიადაგიც არის მეტად მდიდარი — არის ღირსი უეჭველად რომ მას მიეცეს საშვალება თავისუფალი და მშვიდობიანი განვითარების საკუთარი სურვილების მიხედვით.

მაგრამ, შეიძლება ჩვენ კიდევ შორს ვართ ასეთი შემთხვევის განხორციელებიდან, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ისე როგორც მისი ბუნებრივი სიმდიდრე შეადგენს ერთ უმთავრეს დაბრკოლებას მისი თავის უფლებისათვის. თუ ერთა ლიგა გახდება ოდესმე ნამდვილი არბიტრი ერთა შორის, მაშინ საქართველოს შეუძლია დააფასოს სპარსული თქმულების სიმართლე: «მოთმინება არის მწარე, მაგრამ ნაყოფი მისი მეტად ტკბილი».

ასეთია ყოველ შემთხვევაში ჩემი ღრმა რწმენა და მე ვსთქვი ის რაც შეიძლებოდა მთქვა ყველას, ვინც შეისწავლა და დააფასა ქართველების მაღალი და მრავალსახოვანი თვისებები. ნამდვილი ვაჟკაცობა და თავგანწირვა საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკრების, რომლებიც თითქმის მთლად გაწყდენ თფილისთან ომის დროს, გვაძლევს ნათელ იმედებს იმ ქვეყანაზე, რომელმაც წარმოშვა ასეთი დიდებული გმირები.

მე მსურს აგრეთვე მადლობა გადაუხადო ავტორს ამ მეტად დასაბუთებული და მნიშვნელოვან შრომის შედგენისათვის და ხაზი გაუსვა მის ნამდვილ სურვილს ყოფილიყო რაც შეიძლება მიუდგომელი, და ვსცნო მთელი მნიშვნელობა მის მიერ გაწეული სამსახურის ბოლშევიკური მეთოდების და აზროვნების გადმოცემით, ამ მეტად სამიშ ავადმყოფობის, რომელიც ცხადია უნდა მოისპოს თუ ცივილიზაციამ უნდა იარსებოს.

ს. ბ. სტოკს.

24 სექტემბერი 1926 წ.

---

პასუხი «უადგილო გამოლაშქრება»-ს

გაზეთ ბრძოლის მე 21-თე ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით «უადგილო გამოლაშქრება», რომლის ავტორი აკრიტიკებს ბ-ნ დიუგეს მიერ საქართველოზე დაწერილ წიგნს. ჩვენ დღევანდელ პირობებში, ჩვენი სოც.-დემ. პარტიის მოქმედების ან ახლა ან წარსულში, უცხოეთის პრესაში გამოტანის მომხრენი არა ვართ. ჩვენი საქმები, კარგი თუ ცუდი, ჩვენსავე ეროვნულ ოჯახში უნდა მოვარდენ. სოციალ-დემ. მოქმედების გამოქვეყნებით უცხოელებს მხოლოდ საქართველოს დაცემის და გადაგვარების სურათს დავანახვებთ. ამით ჩვენი ქვეყანა ვერაფერს მოიგებს. ჩვენ ეროვნულ ოჯახში კი ურთიერთ ნაკლებზე თვალები არ უნდა დავხუჭოთ. პირიქით ყველა შეცდომა, ყველა დანაშაული გაბედულად უნდა ვამხილოთ. ეს არის პრესის უდიდესი მოვალეობა. გარეშე ზემოდ მოყვანილ მოსაზრებისა, თავის თავად, რომ ბ-ნ დიუგეს მიერ გამოთქმული აზრები სიმართლეს ბევრში ეთანხმება —ეს ფაქტია.

წერილის ავტორი ამბობს რომ ბ-ნ დიუგეს მთავრობის არქივებით არ უსარგებლიაო. ეს სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ნამდვილად ვიცით რომ ბ-ნ დიუგემ ბ-ნ ა. ჩხენკელის მიერ მიცემული წყაროებით დიდად ისარგებლა. მაგრამ ამ წყაროების უმშვენიერესი თაიგულები იყვნენ რუსის ურიის ვოიტინსკის თხზულება და რუსეთის ყოფილ მინისტრის ბ. ა. წერეთლის მიერ კავკასიის სეიმში წარმოთქმული სიტყვები, რომელშიც ივი რუსეთს სამშობლოთ იხსენიებს. რა აზრი უნდა გამოეტანა ბ. დიუგეს ამ ავტორების ნაწერებიდან ქართველ სოც.-დემოკრატებზე? ის, რომელიც მან გამოიტანა.

«ბრძოლის» წერილის ავტორი ლობე ყორეს ედება და ბ. სტოკსზე გაჯავრებული ლოიდ-ჯორჯსაც გადაჰკრა. აქ ლოიდ-ჯორჯი რა შუაშია, არ გვესმის? თქვენ ეხა ბრძანები, სამართლიანად ამბობს თუ არა ბ. სტოქსი ქართველ სოც.-დემოკრატებმა სამშობლოს ინტერესები პარტიიის ინტერესებს შესწირესო? ყველამ უწყის რომ ეს ასე იყო. თქვენ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ თქვენი პარტიის გადასარჩენად გამოაცხადეთ. თუ ეს ასე არ იყო რატომ კერენსკის დროს დამოუკიდებლობაზე სიტყვაც არ დაგიძრავთ და მოსკოვის ყბედ დიქტატორს და მოსკოვის სოვეტებს (რომელიც თქვენ თვითონ შეჰქმენით) ყურ-მოჭრილ ყმათ ემსახურებოდით. თქვენ საქართველო მხოლოდ მაშინ მოგაგონდათ, როცა თქვენმა ვერაჲ ამხანაგებმა ბოლშევიკებმა გიღალატეს და მოსკოვიდან გამოგდევნეს. გასაქცევი გზა და თავშესაფარი თავის და პარტიის გადასარჩენათ მხოლოდ საქართველო ღა გქონდათ და იქითკენ მიაშურეთ. საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ პარტიის ინტერესებისათვის გამოაცხადეთ და ბოლოს ეს დამოუკიდებლობა პარტიასვე ანაცვალეთ.

ავტორს სურს დაამტკიცოს გვარდიის საჭიროება საქართველოში, მაგრამ მეტად სუსტი საბუთები მოჰყავს... მაგრამ საბუთებს აგსურდის დასამტკიცებლად სად იშოვიდა? ნუ თუ საქართველოში არ მოიპოვებოდა გარდა ანტიპატრიოტულად აღზრდილ მუშების ნაწილის, სხვა საღი ელემენტები, რომლიდანაც დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე შემდგარიყვნენ საჭირო რაზმები? რასაკვირველია მოიპოებოდენ და ბევრიც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი იქნებოდენ ეროვნული და არა პარტიული ჯარები. სხვას რომ თავი დავანებოთ განა არ შეგეძლოთ რომ იმავე გვარდიის ელემენტებიდან შეგედგინათ ეროვნული და არა სოციალისტური გვარდია? განა არ შეგეძლოთ იმავე გვარდიისთვის მიგეცათ ეროვნული და არა პარტიული ხასიათი თუ მართლა ერი გაინტერესებდათ? მაგრამ თქვენ უპირველეს ყოვლისა გსუროდათ თქვენი ბატონობის და დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება. გრძანებთ გვარდიამ საქართველოს ბოლშევიზმი ააცილაო, ჩვენ კი ვიცით და ფაქტია, რომ უდიდესი ბუდე ბოლშევიზმისა იყო სწორედ გვარდია, ვინაიდან წითელ დროშის ქვეშ მოსიარულეთათვის ყველა გზები ბოლშევიზმისაკენ მიდიან; ან განა შესაძლებელი იყო რომ იმ გვარდიას, რომლის მთავარ შტაბს მართავდენ ორი სომეხი, ორი რუსის ურია, ორი რუსი და მხოლოდ რამოდენიმე ქართველი და ისიც სოციალისტი —საქართველოს ინტერესები დაესახა უმთავრეს მიზნათ და დაეცვა ის? მაგრამ თავი დავანებოთ გვარდიას, მასზედ ბევრია სათქმელი და თავის დროზე კიდევაც ვიტყვით და დავასაბუთებთ. წერილის ავტორი რეაქციონერებათ ნათლავს ბ. დიუგეა «შთამგონებელთ» ალბათ მხედველობაში ღენერალი კვინიტაძე და შ. ამირეჯიბი ჰყავს. არ ვიცით რაში და როდის გამოიჩინეს ამ პირებმა რეაქციონობა? ამათ არც ციხეში ჩაუყრიათ ვინმე გაზეთებში პატრიოტულად წერისათვის, როგორც თქვენ სჩადიოდით; არც თქვენსამებრ გაზეთები დაუხურიათ და არ მოუსპიათ პრესის თავისუფლება; არც ქუჩებში დაუჭერიათ ასობით თავისუფალი და უდანაშაულო მოქალაქენი და ყარაიაზის ტყეებში «ნამალადევ სამუშაოზე» არ გაუგზავნიათ, როგორც სჩადიოდა თქვენსავე ბრძანებით თქვენი ნაქები გვარდია; მაგრამ ზემო აღნიშნული პირები ალბათ პასუხს თვითონვე გაგცემენ. ჩვენ კი გეუბნებით: თქვენ რომ ქართული გული და ტრადიცია გქონდეთ, ბ. დიუგეს დიდ მადლობას გადაუხდიდით მის მიერ აღწერილ იმ ისტორიულ მომენტებისათვის, რომელიც ყველა ქართველის გულში ღრმად არის აღბეჭდილი და სიმპატიურათ აცნობენ ჩვენ ხალხს და ქვეყანას უცხოელ მკითხველს.

---

***

საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სამხედრო ორგანიზაციის შესახებ LA NATION ARMÉE რომლის ძალით მთელი საფრანგეთის ერი სამხედროთ უნდა მომზადდეს.

აღსანიშნავია, რომ სრულიად ანალოგიურ აზრებს ატარებდა ჟენევაში გამოსული ღენერალ კერესელიძეს წიგნი *L'INSTRUCTION ET L'ORGANISATION DE L'ARMÉE* რომელმაც დიდი ყურადღება მიიპყრო თავის დროზე შვეიცარიის მხედრობის და რომელსაც გამოჩენილ სამხედრო მწერალ CINGRIA -მ შვეიცარიის ***REVUE MILITAIRE*** ში სპეციალური წერილიც უძღვნა. ავტორი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ომებმა მიიღო ეროვნული ომის ხასიათი, დღეს საერთო მობილიზაცია შეიარაღებულ ომს ნიშნავს, მომავალი სამხედრო ორგანიზაცია უნდა ნიშნავდეს ერის მთლიანად სამხედროდ დარაზმვას, ერის ყველა ელემენტები განურჩევლად წინასწარ მომზადებულნი უნდა იყვნენ ომისათვის.

---

გამოვიდა პრომეთეს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი გ. დათა ვაჩნაძეს წერილი რუსეთ და საქართველოზე ცალკე წიგნაკათ, სადაც ავტორი მოკლედ აღნუსხავს საქართველოს რუსეთთან შეერთების და საქართველოს აჯანყებების ისტორიას. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ავტორი ადგია საღ პოლიტიკას რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების საკითხში. იგი ებრძვის რუსეთს განურჩევლად მისი პოლიტიკური რეჟიმისა, არ იზიარებს ჩვენი პოლიტიკური პარტიების შეცდარ და მავნე შეხედულებას, რომელნიც ებრძვიან არა რუსეთს საერთოდ, არამედ მის ამა თუ იმ რეჟიმს.

---

ქართულ უნივერსიტეტმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო მეცნიერთაგანი. თბილისში გარდაიცვალა პროფესორი მელიქიშვილი.

---

პროფესორი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გ. მიხეილ წერეთელი გაემგზავრა ბერლინში.

---

თეთრი გიორგის ბიბლიოთეკა

ს. პ. ა. «თეთრი გიორგი»-ს საზღვარგარეთის სამდივნომ დააარსა ბიბლიოთეკა, რომლითაც საშუალება ექნება ისარგებლოს ყველა ქართველს.— წიგნების შეგროვება დავალებული აქვს ბიბლიოთეკის გამგეს ბ. ლიპარტიას.

ვთხოვთ ქართველ მოქალაქეებს შემოსწირონ წიგნები (რა ენაზედაც არ უნდა იყოს) შემდეგი მისამართით: ბ. ლიპარტიას

Monsieur LIPARTIA

16, Rue Raspail, LEVALLOIS-PERRET

---

განცხადება

ცნობილი პარიზელი ვექილი ბ. ჟელი კისრულობს აწარმოოს ყოველგვარი იურიდიული საქმეები ქართველებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

Maître GELLY

9, Rue de Cabrol, PARIS (Xᵉ)

---

გამომცემელი: საქართველოს პატრიოტულ-ახალ. თეთრი გიორგის საზღვარგარეთი თელი მთავარი სამდივნო

EDITION :

Secrétariat Général de la Jeunesse Patriote Georgienne à l'Etranger

Rédaction : Thethri GUIORGUI

19, Rue Roger,, 19 — PARIS (14ᵉ)

Imprimerie P. et A. DAVY, 52, rue Madame, Paris.

Le Gérant : Félix Kaldenpach.